

**2024 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის
პირობები**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. კონკურსის მიზანია მეცნიერების პოპულარიზაცია ფართო საზოგადოებაში, საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემაში მიმდინარე რეფორმების გაშუქება, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცესა და საქართველოში საუკეთესო, გამორჩეული სამეცნიერო კვლევითი პროგრამებისა და პროექტების, აგრეთვე საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.
2. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი).
კონკურსის დაფინანსებისათვის შესაძლებელია, არსებობის შემთხვევაში, გამოყენებული იქნას დაფინანსების სხვა წყარო.
3. კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს:
 - ა) საბავშვო უნივერსიტეტს;
 - ბ) მეცნიერების პოპულარიზაციის კუთხით სამეცნიერო საკომუნიკაციო კამპანიას;
 - გ) სამეცნიერო კომუნიკაციის ღონისძიებას;
 - დ) გაცნობით ღონისძიებას;
 - ე) ონლაინინსტრუმენტის შექმნას სამეცნიერო კომუნიკაციისთვის;
 - ვ) სამოქალაქო დიალოგს;
 - ზ) მეცნიერების პოპულარიზაციის აქტივობას.
4. დასაფინანსებლად შეირჩევა ის პროექტები, რომლებიც გვთავაზობენ მეცნიერების პოპულარიზაციის კრეატიულ გზებს, ინოვაციურ მიდგომებს, წარმოადგენენ განსხვავებულ ხედვას და უზრუნველყოფენ საკითხის ფართო საზოგადოებამდე მიტანას, აგრეთვე იზიარებენ საერთაშორისო სივრცეში მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულელებით არსებულ საუკეთესო გამოცდილებას.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსზე შესაძლებელია წარადგინონ:
 - ინსტიტუციური პროექტი** – პროექტი, რომელსაც წარმოადგენს და ახორციელებს წამყვანი ორგანიზაცია და შესაძლოა ჰყავდეს თანამონაწილე ორგანიზაცია(ები);
 - ჯგუფური პროექტი** – პროექტი, რომელსაც წარმოადგენს და ახორციელებს პროექტის განმახორციელებელი ფიზიკურ პირთა ჯგუფი.
2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

ა) წამყვან და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციას ძირითად პერსონალთან ერთად;

წამყვანი ორგანიზაცია – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ახორციელებს პროექტის განხორციელების ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს;

თანამონაწილე ორგანიზაცია/ები – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. თანამონაწილე ორგანიზაცია წამყვან ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს.

ბ) ფიზიკურ პირთა ჯგუფს.

პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი – ფიზიკურ პირთა ჯგუფი, რომელიც ახორციელებს პროექტით განსაზღვრულ აქტივობებს და პასუხისმგებელია ანგარიშგებაზე არაინსტიტუციური პროექტების შემთხვევაში;

3. პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის **ხელმძღვანელი** და პროექტის **კოორდინატორი**. **პროექტის ხელმძღვანელი და კოორდინატორი ვერ იქნება ერთი და იგივე პირი.**

ა) **პროექტის ხელმძღვანელი** – უმაღლესი განათლების მქონე ფიზიკური პირი ძირითადი პერსონალიდან, რომელიც კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას და პროექტის მიმდინარეობას, პასუხისმგებელია პროექტის შედეგზე და ფონდისათვის შესაბამისი ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე;

ბ) **პროექტის კოორდინატორი** – პირი ძირითადი პერსონალიდან, რომელიც ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში;

გ) **ძირითადი პერსონალი** – პროექტით განსაზღვრული ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი ფიზიკური პირები;

4. პროექტს შესაძლებელია ჰყავდეს **კონსულტანტი** - საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მუშაობს პროექტით გათვალისწინებული აქტივობების თემატიკაზე და კონსულტაციას გაუწევს ძირითად პერსონალს პროექტის ფარგლებში. **კონსულტანტი არ არის პროექტის ძირითადი პერსონალი/გრანტის მიმღები.**

5. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **დამხმარე პერსონალი** - პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ეხმარება/ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში; **დაუშვებელია დამხმარე პერსონალის ფუნქციები შეითავსოს პროექტის ძირითადმა პერსონალმა.**

6. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **თანადამფინანსებელი** - იურიდიული ან ფიზიკური პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ფონდთან ერთად აფინანსებს/აფინანსებენ პროექტს.

7. პროექტის განსახორციელებლად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დამატებით სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება (გარდა წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციისა).

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა შესაძლებელია იყოს მინიმუმ **სამი თვე** და მაქსიმუმ **ერთი წელი**.
2. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 15 000 ლარს.
3. პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს როგორც ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, ასევე არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებს:
 - ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებას;
 - ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებას;
 - გ) მივლინებას;
 - დ) საქონელსა და მომსახურებას;
 - ე) არაფინანსურ აქტივებს.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯვითი კატეგორიები განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის კლასიფიკატორით.
5. ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება და დამხმარე პერსონალის შრომითი ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი ბიუჯეტის 50%-ს.
6. დაუშვებელია „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან შრომის ანაზღაურების გაცემა.
7. პროექტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს თანადაფინანსებას (დამატებით ფინანსურ წყაროს), რაც პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების ნაწილობრივ დაფარვას გულისხმობს. **თანადაფინანსებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული ნებისმიერი სხვა გრანტი.**
8. პროექტს შეიძლება ჰქონდეს თანადაფინანსება როგორც ფულადი, ასევე არაფინანსური მონაწილეობის (in-kind contribution) სახით იურიდიული/ფიზიკური პირის მხრიდან.
9. გრანტით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის და მობილური ტელეფონის შეძენა.
10. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება პროექტის წარმდგენ იურიდიულ პირს/პირებს, აგრეთვე ფიზიკურ პირთა ჯგუფს წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

ა) კონკურსში მონაწილეობისათვის გრანტების მართვის ერთიან სისტემა GMUS-ში ელექტრონულად უნდა დაარეგისტრირონ პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან:

1. **კრებსითი ინფორმაცია** პროექტის შესახებ (**დანართი N2**, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);
2. **საკონკურსო წინადადება** (**დანართი N3**, იტვირთება GMUS-ში PDF ფაილის სახით);
3. **პროფესიული ბიოგრაფია** (პროექტის ხელმძღვანელის, პროექტის კოორდინატორის, პროექტის ძირითადი პერსონალის). (**დანართი N4**, იქმნება GMUS-ში შესაბამისი ველების შევსების შემდეგ, იტვირთება PDF ფაილის სახით, პროექტის რეგისტრაციის დროს)
4. პროექტის **გეგმა-გრაფიკი** (ნიმუში - **დანართი N5**, ივსება GMUS ში)
5. პროექტის **ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება** (ნიმუში - **დანართი N6** (ჯგუფური პროექტებისთვის), **დანართი N7** (ინსტიტუციური პროექტებისთვის), ივსება GMUS ში)

6. კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი პროექტში მონაწილეობის შესახებ დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერით; უცხოელი კონსულტანტის შემთხვევაში საჭიროა თანხმობის წერილს თან ერთვოდეს მისი ქართული თარგმანი, დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ (დანართი N8, იტვირთება GMUS -ში PDF დოკუმენტის სახით);
7. პროექტის კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - პროფესიული ბიოგრაფია ქართულ ენაზე, (იტვირთება GMUS ში PDF ფაილის სახით, პროექტის ხელმძღვანელის მიერ);
8. ცნობა პროექტის თანადაფინანსების (ფულადი ან არაფინანსური მონაწილეობის) შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - წარმოდგენილი შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირის/პირების მიერ, დაფინანსების მიზნობრიობის მითითებით, დადასტურებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და შესაბამისი იურიდიული პირის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). **ფულადი თანადაფინანსების** შემთხვევაში ცნობაში აუცილებელია თანადაფინანსების თანხის მითითება.
 - ა) იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის **ოფიციალურ ბლანკზე** ან **დანართი N9-ის** ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;
 - ბ) ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს **დანართი N9-ის** ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული მისი ქართული თარგმანი.
9. **თანხმობის წერილი** სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - გარდა წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციისა. წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან **დანართი N10-ის** ფორმით, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;
10. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით, ქართულ ენაზე.

ბ) საგრანტო კონკურსში რეგისტრაციისთვის ფონდის კანცელარიაში მატერიალური ფორმით წარმოდგენილი უნდა იყოს:

1) ინსტიტუციური პროექტისთვის: პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (**დანართი N11**, გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2) ჯგუფური პროექტისთვის: პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (**დანართი N12**, გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებით.

გ) განცხადებაზე უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არარსებობის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთვოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილი, ორიგინალი ხელმოწერით და მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურსში მონაწილეობაზე;

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

- კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება 2 ეტაპად.
 - პროექტის რეგისტრაცია ელექტრონულ ბაზაში - <http://gmus.rustaveli.org.ge> **2024 წლის 16 ივლისიდან 5 აგვისტოს 18:00 სთ-მდე.**
 - ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია - კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების მატერიალური ფორმით წარდგენა - **2024 წლის 7 აგვისტოს 18:00 სთ-მდე.**
- პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია გულისხმობს კონკურსის პირობებით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსებასა და მოთხოვნილი დოკუმენტების ატვირთვას GMUS-ის შესაბამის ველებში. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისათვის სავალდებულოა ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) დარეგისტრირებული იყოს პროექტის სუბიექტები - იურიდიული და ფიზიკური პირები: წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ძირითადი პერსონალი, მათ შორის უცხოელი მეცნიერები.
- ინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში, პროექტში ჩართული იურიდიული პირების რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტებია: სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, წესდება/დებულება. ა(ა)იპ-ისა და შპს უსდ-ის შემთხვევაში ასევე საჭიროა ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (2024 წელს გაცემული);
- პროექტის ხელმძღვანელის რეგისტრაციისათვის საჭიროა ბიოგრაფიული მონაცემების შევსება და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ატვირთვა GMUS-ში (დიპლომი). საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აღნიშნული დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს აღნიშნული დოკუმენტის ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება. იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე არის პროექტის ხელმძღვანელი, მის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტს უნდა ახლდეს ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- პროექტის ძირითადი პერსონალი ინდივიდუალურად უნდა დარეგისტრირდეს GMUS-ში და შექმნას „მეცნიერის პროფილი“.
- საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში მატერიალური ფორმით წარმოდგენილია „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით. დადგენილი ვადების დარღვევით წარმოდგენილი პროექტები საკონკურსოდ არ განიხილება.
- ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

- კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით - 15 ივლისი;
- პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია - 16 ივლისი - 5 აგვისტო;
- ჯგუფური ონლაინ კონსულტაციები - ზუსტი თარიღი და დრო გამოქვეყნდება ფონდის ვებგვერდზე;
- ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა - 7 აგვისტო;

5. კონკურსში რეგისტრირებული პროექტების ტექნიკური ექსპერტიზა - წარმოდგენილი პროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა კონკურსის პირობებთან - აგვისტო;
6. შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ - აგვისტო-სექტემბერი;
7. საკონკურსო კომისიის მიერ პროექტების შეფასება - სექტემბერი-ოქტომბერი;
8. გამარჯვებული პროექტების დამტკიცება - ოქტომბერი-ნოემბერი;
9. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება - ოქტომბერი-ნოემბერი;
10. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება - ნოემბერი-დეკემბერი.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. პროექტების შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად.
2. კონკურსზე დარეგისტრირებულ პროექტებს აფასებს გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია.
3. ფონდმა, კომისიასთან შეთანხმებით, შესაძლებელია მოიწვიოს დამატებითი დამოუკიდებელი ექსპერტები პროექტების შესაფასებლად.
4. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.
5. შეფასების პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისია პროექტებს აფასებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N201/ნ ბრძანების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მეორე ეტაპზე გადასვლისათვის აუცილებელი პირობაა პროექტის შეფასების პირველ ეტაპზე 36 მაქსიმალური ქულიდან 25 ან მეტი ქულის მიღება.
6. შეფასების მეორე ეტაპზე გადასული პროექტების ხელმძღვანელები გააკეთებენ პრეზენტაციას საკონკურსო კომისიის წინაშე. საკონკურსო კომისია პრეზენტაციას აფასებს ამ დებულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი კრიტერიუმებით. პროექტის დაფინანსებისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა შეფასების მეორე ეტაპზე 18 მაქსიმალური ქულიდან პროექტმა მიიღოს 13 და მეტი ქულა.
7. პროექტის საბოლოო ქულა დაანგარიშდება პირველ და მეორე ეტაპებზე მიღებული ქულების დაჯამებით.
8. თანაბარი ქულების არსებობის შემთხვევაში, დაფინანსდება ის პროექტი, რომელსაც ნაკლები თანხა აქვს ფონდიდან მოთხოვნილი. თანაბარი ქულებისა და ბიუჯეტების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსის მეორე ეტაპის ქულას.
9. გენერალური დირექტორი ამტკიცებს საკონკურსო კომისიის მიერ გამოვლენილ გამარჯვებულ პროექტებს.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს გრანტის მიმღებ პირებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელშიც დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.
2. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, ფონდი გადარიცხავს ტრანშს შესაბამისი თანადაფინანსების თანხის საგრანტო ანგარიშზე დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის

წარდგენის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენლობის შემთხვევაში პროექტი შეჩერდება.

3. **ინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში** საგრანტო დაფინანსება ერიცხება გრანტის მიმღებ წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციას, ხოლო **ჯგუფური პროექტის** შემთხვევაში საგრანტო დაფინანსება ერიცხება პროექტის ხელმძღვანელს.

4. **კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:**

1. **თანადაფინანსების ცნობის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

2. **ინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში:**

ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

3. **ფიზიკურ პირთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტისთვის:**

ა) მიზნობრივი საბანკო ანგარიშის (ლარის) რეკვიზიტები, რომელზეც განხორციელდება მხოლოდ პროექტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციები და არ დაირიცხება სხვა სარგებელი;

მუხლი 9. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად ფონდს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში.

2. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს, რომლის დროსაც განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.

3. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:

ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

ბ) პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას. ფონდი უფლებამოსილია პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები და ასევე პროექტის შეფასება შესაბამისი ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების მიხედვით.

4. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება პროექტის ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას; ამასთან, პროექტის ბიუჯეტის დასაბუთებაში მითითებული ჩანაწერებისაგან განსხვავებული შესყიდვების

განხორციელების შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებს მოსთხოვოს დამატებითი დასაბუთება გაწეული ხარჯის მიზნობრიობის დასადასტურებლად და მიღებული განმარტებით იხელმძღვანელოს ხარჯის მიზნობრიობის განხილვისას.

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული, დაუსაბუთებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) ნაშთად ჩაითვლება პროექტის დასრულებისას არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას.

5. ფინანსურ და პროგრამული ანგარიშებისა და მათზე თანდართული დოკუმენტაციის სისწორესა და სინამდვილეზე პასუხისმგებელია გრანტის მიმღები;

6. ფონდი არ არის ვალდებული განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე მონიტორინგი, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულებით.

7. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შემოწმების საფუძველზე მომზადებული განხილვის აქტები ფონდის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ მომავალ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.

8. ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს მიმდინარე პროექტების აუდიტორული შემოწმება აუდიტორული კომპანიის მიერ, რათა დადგინდეს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან. აუდიტორული კომპანიის შემოწმების დასკვნის შესაბამისად ფონდი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეჩერების, შეწყვეტის და დასრულების შესახებ.

9. ანგარიშის განხილვისას საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა. საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია საანგარიშო პერიოდში გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნილი ცვლილება უნდა იყოს დაკავშირებული პროექტით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანების შესრულებასთან.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. ფონდი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყვეტს გრანტის მიმღების გრანტით დაფინანსებას (შესაბამისად, შეწყდება პროექტი), თუ:

ა) მოხდა შესაბამისი გრანტის მიმღები დაწესებულების ლიკვიდაცია;

ბ) გრანტის მიმღებმა არ შეასრულა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან/და ანგარიშში წარადგინა ყალბი ინფორმაცია.

2. გრანტის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის ურთიერთობები რეგულირდება საგრანტო ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად.

3. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხარეებს შორის გაფორმებულია შედარების აქტი (მხარეებს შორის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შესახებ) და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროექტის შედეგების ამსახველ გამოცემებში მიუთითოს, რომ პროექტი განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“.
2. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით”.
3. საგრანტო პროექტის შესახებ სოციალურ მედიაში ინფორმაციის გავრცელებისას სავალდებულოა გამოყენებული იყოს „ჰაშტაგები“: #SRNSFG ან #რუსთაველის ფონდი ან #რუსთაველის გრანტი;
4. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდებზე.